დანართი 3

დამტკიცება: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს
დადგენილება #03, 10/01/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისი
2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა განვითარების დეპარტამენტი (შემდგომში - დეპარტამენტი)არის უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხარდაჭერას და სთავაზობს მათ განვითარებასა და პროფესიულ ზრდაზე ორიენტირებულ სერვისებს. დეპარტამენტი ასევე უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო ცხოვრების მრავალფეროვნებას, სხვადასხვა სახის ექსტრაკურიკულური აქტივობების ორგანიზებისა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას

1.2 დეპარტამენტის ფუნქციები, უფლებამოსილება, სტრუქტურა და მართვა განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

1.3 დეპარტამენტი ექვემდებარება პრორექტორს ადმინისტრაციის დარგში, პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

მუხლი 2. დეპარტამენტის ფუნქციები

2.1 დეპარტამენტის ზოგადი ფუნქციებია:

ა) უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა;

ბ) ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციაზე მიმართული აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება;

გ) სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჯეროვანი ინფორმირება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით;

დ) სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერა და დაფინანსების ინიცირება;

ე) სტუდენტური კლუბების მხარდაჭერა და მათ განვითარებაზე მიმართული აქტივობების განხორციელება;

ვ) საუნივერსიტეტო მენტორობის პროგრამის განვითარება და მართვა;

ზ) განსაკუთრებული ან/და სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტების მხარდაჭერაზე მიმართული პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი სერვისების განვითარება;

თ) სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით, კულტურული და სპორტული ექსტრაკურიკულური აქტივობების მხარდაჭერა;

ი) კურსდამთავრებულთა ქსელის განვითარებაზე მიმართული აქტივობების განხორციელება;

2.2 დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების მხარდაჭერას და ორიენტირებულია მათ დასაქმებასა და პროფესიულ ზრდაზე.

ა) უნივერსიტეტის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კარიერული განვითარების ხელშეწყობა;

ბ) უნივერსიტეტის აკადემიური პროფილის შესაბამისი თემატური დასაქმების დღეების ორგანიზება;

გ) წელიწადში სულ მცირე ერთხელ, მასშტაბური სტუდენტური დასაქმების ფორუმისა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ფორუმის ორგანიზება;

დ) სხვადასხვა საკომუნიკაციო არხით სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერესების შესაბამისი ვაკანსიების გავრცელება;

ე) დამსაქმებელთა ბაზის განვითარება და მათთან პერიოდული კომუნიკაცია;

ე) უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამების შემდგომი განვითარების მიზნით, შრომის ბაზრის კვლევა, დამსაქმებელთა საჭიროებების გამოკვლევა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენა;
ვ) სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების შრომის ბაზრის მოთხოვნებისთვის მომზადება და შესაბამისი ვორქშოპების, სესიებისა და ინდივიდუალური კონსულტაციების ორგანიზება;
ზ) სტაჟირებების და სასწავლო პრაქტიკის კომპონენტების გაძლიერების მიზნით, პარტნიორული ქსელის გაფართოება და კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობის განვითარება;
2.3 დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და მესამე პირების პროფესიული ზრდის მხარდაჭერას, სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე პრინციპების გათვალისწინებით:
ა) შეიმუშავებს და წარმართავს ფორმალურ თუ არაფორმალურ მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამებს;
ბ) უნივერსიტეტის სკოლებთან პარტნიორობით შეიმუშავებს უნიკალურ ტრენინგ-კურსებსა და მოკლევადიან სასერტიფიკატო პროგრამებს;
გ) უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებების შესაბამისად შეიმუშავებს პროფესიული მხარდაჭერისა და განვითარების მექანიზმებს;
დ) უნივერსიტეტის შესაბამის სამსახურებთან ერთად გეგმავს აკადემიის კურსების საკომუნიკაციო კამპანიას და მუშაობს კურსების კომერციალიზაციაზე;
ე) კარიერული დაგეგმვისა და განვითარების სამსახურთან თანამშრომლობით ატარებს ბაზრის მოკვლევას, მოთხოვნადი და ახალი უნარების იდენტიფიცირების მიზნით;
ვ) შეიმუშავებს და ავითარებს ონლაინ სწავლების სტრატეგიას, კურსების შემდგომი ეფექტიანი გაციფრულების მიზნით;
ზ) შეიმუშავებს და საქმიანობაში ხელმძღვანელობს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის პრინციპების გათვალისწინებით შემუშავებული პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად.
2.4 დეპარტამენტი უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების ჩართულობას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ზრუნავს მათ შემდგომ პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე და ორიენტირებულია კურსდამთავრებულთა შორის კავშირების გაღრმავებაზე:
ა) უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებთან პერმანენტული კომუნიკაცია;
ბ) სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე პრინციპებზე დაყრდნობით, კურსდამთავრებულთათვის შესაბამისი მხარდაჭერის შეთავაზება და სხვადასხვა აქტივობების ორგანიზება;
გ) კურსდამთავრებულთა ქსელის განვითარების მიზნით, შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა, მათ შორის, აქტიურ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში კურსდამთავრებულთა ჩართულობის უზრუნველყოფა;
დ) სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის კავშირების გაძლიერების მიზნით, საუნივერსიტეტო მენტორობის პროგრამის განვითარება;
ე) შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობით, კურსდამთავრებულთა საჭიროებებზე მორგებული დასაქმების ფორუმების, ვორქშოპებისა და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება;
ვ) წელიწადში სულ მცირე ერთხელ, კურსდამთავრებულთა შეკრების ორგანიზება და შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა;
ზ) კურსდამთავრებულთა ბაზის შექმნა და პერიოდული განახლება;
თ) კურსდამთავრებულთა ფონდის შექმნა, სამოქმედო გეგმის შემუშავება და მართვა.

2.5 დეპარტამენტი უზრუნველყოფს სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებას, სტუდენტური ინიციატივების წახალისებას და აკადემიური პროცესების მხარდაჭერას რელევანტური ექსტრაკურიკულარული აქტივობების შეთავაზებით.

ა) გეგმავს და კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის სტუდენტების ინტერესებზე მორგებულ და მათ განვითარებაზე ორიენტირებულ აქტივობებს;

ბ) აორგანიზებს ისეთ ექსტრაკურიკულურ აქტივობებს, როგორიცაა საჯარო ლექციები, ვორკშოპები, ტრენინგ-სესიები, სტუდენტური კონკურსები თუ სხვა კულტურული და შემეცნებითი აქტივობები;

გ) უნივერსიტეტის მისიის შესაბამისად, აორგანიზებს აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს ინტერკულტურული ურთიერთობების გაღრმავებას ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტებს შორის;

დ) პასუხისმგებელია უნივერსიტეტში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაზე;

ე) ხელს უწყობს საუნივერსიტეტო სპორტული კლუბების საქმიანობას;

ვ) აორგანიზებს შიდასაუნივერსიტეტო სპორტულ ჩემპიონატებსა და ტურნირებს;

ზ) კოორდინირებას უწევს ადგილობრივ და საერთაშორისო ჩემპიონატებში საუნივერსიტეტო კლუბების მონაწილეობას;

თ) ყოველწლიურად აორგანიზებს ისეთ მასშტაბურ საუნივერსიტეტო ღონისძიებებს, როგორებიცაა პირველკურსელთა და მაგისტრების მიღების ცერემონია, სტუდენტური ცხოვრებისა და კლუბების გამოფენა და სხვა;

ი) შესაბამის სამსახურებთან ერთად შეიმუშავებს ექსტრაკურიკულური აქტივობების განრიგს და შესაბამის ინფორმაციას ავრცელებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების გამოყენებით;

2.6 დეპარტამენტი მხარს უჭერს საუნივერსიტეტო სივრცეში ინოვაციური და სამეწარმეო შესაძლებლობების განვითარებას და ორიენტირებულია სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინიციატივების მხარდაჭერასა და განვითარებაზე.

ა) წაახალისოს სამეწარმეო სულისკვეთება და ინოვაციური მიდგომები სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის;

ბ) მხარი დაუჭიროს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტარტაპ და ბიზნესიდეების განვითარებას;

გ) შესთავაზოს დაინტერესებულ მხარეებს ვორკშოპები, ტრენინგები და სხვა ისეთი აქტივობები, რომელიც ორიენტირებული იქნება ბიზნესსტრატეგიის, დაგეგმვის, სტარტაპიდეის განვითარებისა და დაფინანსების მოზიდვის თემატიკაზე;

დ) ხელი შეუწყოს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კავშირების გაძლიერებას სტარტაპ ეკოსისტემასთან;

ე) დაეხმაროს უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დაფინანსების მოზიდვაში, ინვესტორებთან ურთიერთობასა და კონკურსებში მონაწილეობაში;

ვ) შეიმუშავოს და შესთავაზოს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მენტორის სერვისი;

ზ) განავითაროს პარტნიორობა კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციებთან, რათა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ჰქონდეთ წვდომა შესაბამის ცოდნასა და რესურსებთან;

თ) მხარი დაუჭიროს უნივერსიტეტის კვლევებისა და ინოვაციების კომერციალიზაციას, საჭიროების შემთხვევაში, ჩაერთოს პატენტის მოპოვების პროცესში;

ი) ჩაატაროს კონკურსები, ჰაკათონები და კრეათონები, რათა წაახალისოს სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის ინოვაციური აზროვნება;

კ) გაზარდოს ინტელექტუალური საკუთრების შესახებ ცნობადობა სტუდენტებს, კურსდამთავრებულებსა და პერსონალს შორის;

მუხლი 3. დეპარტამენტის სტრუქტურა და მართვა

3.1. დეპარტამენტის შემადგენლობაში შედის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:
ა) სტუდენტთა ექსტრაკურიკულური აქტივობების სამსახური;
ბ) კარიერული დაგეგმვისა და განვითარების სამსახური;
გ) კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის სამსახური;
დ) ინოვაციებისა და მეწარმეობის ცენტრი;
ე) IBSU აკადემია.
3.2. დეპარტამენტის თანამშრომელს უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციის დარგში პრორექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3.3. სამსახურში მიღებისას, თანამშრომელთათვის წარსადგენი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, აუცილებლობის შემთხვევაში, განისაზღვრება რექტორის მიერ.

მუხლი 4. დეპარტამენტის ხელმძღვანელობა

4.1. დეპარტამენტს ხელმძღვანელობს დეპარტამენტის უფროსი.
4.2. დეპარტამენტის უფროსი ყოველდღიურ საქმიანობაში ხელმძღვანელობს წინამდებარე დებულებით განსაზღვრული ფუნქციებითა და მიზნებით.
4.3. დეპარტამენტის უფროსი წარმოადგენს სამსახურს, შიდა საუნივერსიტეტო და საგარეო ურთიერთობებში, გეგმავს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას, კოორდინირებას უწევს დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებს და პასუხისმგებელია მათ ეფექტიან მუშაობაზე.
4.4. დეპარტამენტის უფროსი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციის დარგში პრორექტორის წინაშე.
4.5. დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შემავალი სტრუქტურული ერთეულების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები აღწერილია შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებში.

მუხლი 5. დეპარტამენტის უფროსის ფუნქცია-მოვალეობები

5.1. დეპარტამენტის ხელმძღვანელი:
ა) წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას უნივერსიტეტის დებულებისა და წინამდებარე დებულების შესაბამისად;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს დეპარტამენტის თანამშრომლებსა და სამსახურებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
გ) შეიმუშავებს დეპარტამენტის სამოქმედო გეგმას და წარუდგენს მას პრორექტორს ადმინისტრაციის დარგში;
გ) კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობს ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციის შიდა საუნივერსიტეტო პროცესში;

დ) წარმოადგენს დეპარტამენტს უნივერსიტეტის ორგანოებთან და სხვა ერთეულებთან, ხოლო თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოადგენს უნივერსიტეტს მესამე პირებთან ურთიერთობისას;
ე) დეპარტამენტის სტრუქტურის, საშტატო შემადგენლობის, მუშაობის ორგანიზაციის, თანამშრომლების წახალისების, დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების და მათი კვალიფიკაციის ამაღლების შესახებ წინადადებებს წარუდგენს უნივერსიტეტის პრორექტორს ადმინისტრაციის დარგში.
ვ) საუნივერსიტეტო საქმიანობის ფარგლებში, კონსულტაციას უწევს სტუდენტებს;
ზ) დეპარტამენტის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს ყოველწლიურად წარუდგენს პრორექტორს ადმინისტრაციის დარგში;
თ) ახორციელებს უშუალო ხელმძღვანელის მიერ გაცემულ სხვა უფლებამოსილებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

მუხლი 6. დეპარტამენტის კოორდინატორი

6.1. დეპარტამენტის კოორდინატორი:
ა) ასრულებს დეპარტამენტის უფროსის დავალებებსა და მითითებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
ბ) პასუხისმგებელია სტუდენტებთან კომუნიკაციაზე;
გ) კოორდინირებას უწევს სტუდენტური ინიციატივების განხილვისა და დაფინანსების პროცესს;
დ) კოორდინირებას უწევს ახალწვეული სტუდენტების საუნივერსიტეტო სივრცეში ინტეგრაციის აქტივობებს;
ე) კოორდინირებას უწევს დეპარტამენტის დებულებით განსაზღვრულ სტუდენტურ სერვისებს.
2. დეპარტამენტის კოორდინატორი ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის ხელმძღვანელი წინაშე.

მუხლი 7. დეპარტამენტის ასისტენტი

7.1. დეპარტამენტის ასისტენტი:
ა) ასრულებს დეპარტამენტის ხელმძღვანელის დავალებებსა და მითითებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში;
ბ) ერთვება დეპარტამენტის მიერ ინიციირებული აქტივობების დაგეგმვასა და განხორციელებაში;
გ) ჩართულია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთა კმაყოფილების განსაზღვრის მიზნით დეპარტამენტის მიერ ინიცირებულ კვლევების ჩატარებაში;
7.2. დეპარტამენტის ასისტენტი ანგარიშვალდებულია დეპარტამენტის ხელმძღვანელის წინაშე.
7.3. დეპარტამენტის ასისტენტის პოზიციაზე შესაძლებელია მიღებულ იქნას მხოლოდ უნივერსიტეტის სტუდენტი.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მიღებისთანავე;

8.2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად;
8.3. ცვლილებებს ამტკიცებს უნივერსიტეტის მმართველი საბჭო.
8.4. დეპარტამენტის დამატებითი ფუნქციები შესაძლებელია განისაზღვროს უნივერსიტეტის სხვა ნორმატიული დოკუმენტებით;
8.5. წინამდებარე დებულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს პრორექტორი ადმინისტრაციის დარგში.